ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 48 16
28/02/2019

16-48-4-201902281344

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №48 84 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს არასაკმარისად.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი
დამტკიცებულია:
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 28 თებერვლის N48 16 განკარგულებით

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესაბამისად გვევალება მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მიმდინარე მშენებლობების კონტროლი და ზედამხედველობა.

2018 წლის იანვრიდან დღემდე საანგარიშო პერიოდში გაცემულია მშენებლობის 7(შვიდი) ნებართვა, აქედან 2(ორი) ობიექტის მშენებლობა დასრულდა და გაშვებულია ექსპლოატაციაში. დასრულდა ერთი ობიექტის დემონტაჟი, მიმდინარეობს 3(სამი) ობიექტის მშენებლობა, ხოლო ერთი ობიექტის მშენებლობა არ დაწყებულა.

ჩვენი სამსახურის მიერ კონტროლი ხორციელდება წინა წლებში მიღებული ნებართვებით მიმდინარე მშენებლობებზე, კერძოდ მედიათეკა სოფელ საწირეში და ღვინის მარანი სოფელ გურნაში, რომლებიც ნებართვის ვადების ფარგლებშია. 2(ორი) ობიექტის მშენებლობა დაწყებულია და შეჩერებულია ნებართვის ვადის გასვლის გამო, გაგრძელების შემთხვევაში მენაშენე ვალდებული იქნება აიღოს მშენებლობის ახალი ნებართვა.

დასრულებულია, თუმცა არ ფუნქციონირებს და ექსპლუატაციაში მიუღებელია 2(ორი) ობიექტი: გელათის ვიზიტორთა ცენტრი და საწირის რკინიგზის სადგური. მშენებლობის ვადის რამდენჯერმე გადაწევის საფუძველზე გრძელდება ტყიბულის წყლალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

საწირეში რკინიგზის გადასასვლელი არ იყო კანონიერ ფარგლებში მოქცეული, ჩვენ წერილით მივმართეთ რკინიგზის დეპარტამენტს, აღნიშნული გადასასვლელის ლეგალიზებასთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა მყისიერი რეაგირება, შეიქმნა კომისია და ჩვენთან ერთად ადგილზე დაისახა გზები, საკითხის გადასაწყვეტად. თუმცა დეპარტამენტიდან ჩამოვიდა უარი გადასასვლელის ლეგალიზებასთან დაკავშირებით.

გაურკვეველ მდგომარეობაშია მუხურის საჯარო სკოლა და ტყიბულის N4 -ე სკოლის დამხმარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის დასრულების საკითხი.

პერიოდული კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პირველი კლასის ობიექტების მშენებლობებზე. პირველი იანვრიდან დღემდე ნებართვა ,განსაზღვრული ვადით, გაიცა 10(ათ) ობიექტზე, აქედან ერთი დასრულებულია ,ერთს გაუვიდა ვადა, 8(რვა) ობიექტის მშენებლობის განხორციელება ნებართის მოქმედების ვადებშია.

ჩვენს მიერ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 2(ორი) უნებართვო მშენებლობა. მოქალაქეები, საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექს“-ის შესაბამისად დაჯარიმდა 2000(ორი ათასი)ლარით ,ხოლო მეორე ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს პროცესი (200(ორასი) ლარით.)

წერილობით მივმართეთ ,,ენერგო პრო-ჯორჯიას“,ჯიხურების ტექნიკური მდგომარეობის მოუწესრიგებლობის გამო, ჩვენი წერილობითი მითითების საფუძველზე ,ზემოთაღნიშნული უწყება ოპერატიულად გამოეხმაურა ფაქტს და დღეის მდგომარეობით პრობლემა აღმოფხვრილია.

გამსახურდიას ქ. N49 მიმდებარედ, ,,ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“-ს კუთვნილ შენობასთან, რომელიც ანტისანიტარიის ბუდედ იყო ქცეული. მომზადდა წერილი, რასაც მოჰყვა რეაგირება აღნიშნული შენობა შეიღება თათრად, გაწმენდილი იქნა მიმდებარე ტერიტორიები.

ოფიციალურად, წერილით, ჩვენი სამსახურის მიერ სხვადასხვა მიმართულებით გაფრთხილებულია 117 (ასჩვიდმეტი) იურიდიული და ფიზიკური პირი:0

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულია -23 ერთეული,

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^3 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულია --24 ერთეული,

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150^1 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულია -20 ერთეული,

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულია -03 ერთეული,

5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2 მუხლის საფუძველზე გაფრთხილებულია -23 ერთეული.

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-3-ე ნაწილის საფუძველზე გაფრთხილებულია 24 ერთეული.

2018 წლის 05 ნოემბერს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 153^3 მუხლის 1ნაწილის საფუძველზე მოქალაქე ამირან ქველიაშვილის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი N000063. ოქმი გადაეგზავნა განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ტყიბულის მუნიციპალიტეტში.

მაისის თვეში, ზედამხედველობის სამსახურის დაქვემდებარებაში, გადმოვიდა დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება-ადმინისტრირება. მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება ხელახლა, ერთწლიანი ვადით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში. სულ დადებულია 231(ორასოცდათერთმეტი) ხელშეკრულება და 2018წ.სულ შემოსულია 30.295 ლარი. გეგმით გათვალისწინებული 20000 ლარის ნაცვლად.

დავიწყეთ მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების გეგმაზე მუშაობა და ვემზადებით შემდგომი ნაბიჯებისთვის. ჩვენმა სამსახურმა შესძლო მოეგვარებინა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდა ქალაქს, კერძოდ, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია გათავისუფლდა გარემოვაჭრეებისაგან, ამ ფაქტმა მოსახლეობის კმაყოფილება გამოიწვია. ვახორციელებთ ყოველდღიურ მონიტორინგს ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე. ასევე ვმუშაობთ ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების იერსახის მოგვარების კუთხით, დავარიგეთ გამაფრთხილებელი წერილები. რასაც ნაწილობრივ მოჰყვა რეაგირება.

ქალაქში დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადაადგილება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ შედგენილ იქნა იმ მოქალაქეთა სახელობითი სია, რომლებსაც საკუთრებაში ჰყავთ მსხვილფეხა პირუტყვი, პრევენციის მიზნით ჩვენს მიერ დარიგებულ იქნა, ქალაქის მაშტაბით, საქონლის მეპატრონეთათვის გაფრთხილების ფურცლები,რაც გულისხმობს ქალაქში პირუტყვის დაფიქსირების შემთხვევაში მეპატრონის დაჯარიმებას.

ვმუშაობთ გეგმაზე, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს, მსხვილფეხა პირუტყვის მიერ ქალაქში არსებული მწვანე ნარგავების დაზიანების შემთხვევაში.

ჩვენი სამსახურის მიერ, ჯამში შესრულებულია 346 (სამასორმოცდაექვსი), წერილი და განცხადება.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად არის ჩართული სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის, საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შემსწავლელი , ხე-მცენარეების დეკორატიული გადაბელვითი სამუშაოების და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარების კომისიებში.

მიმდინარეობს გარე-ფასადების იერსახის მოწესრიგება.

ვღებულობთ ასევე მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე კონტროლის მიზნით შექმნილი გამგეობის სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის მუშაობაში.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო